საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალაძე გულბათ (გულდა) კარლოს ძე

გ. კალაძე

კალაძე გულბათ (გულდა) კარლოს ძე (29. VIII. 1934, სოფ. ეწერი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 15. VIII. 1974, თბილისი), მოქანდაკე, გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1967). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1957, ნ. კანდელაკის მოწაფე). 1957-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. კ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული დეკორატიულობა, მონუმენტურობა, დახვეწილი პროპორციები. ძირითადი ნამუშევრები: „განთიადი" (1960, თაბაშირი), „მეგობრობა" (1962, ბრინჯაო); ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსისათვის შექმნილი დეკორატიულ-სკულპტურული ჯგუფი „სამაია" (1962) და „ოჯახი" (1967), „ყურძნის მტევანი" (1967, ბრინჯაო); მონუმენტური რელიეფი სასტუმრო „ივერიისათვის" თბილისში (1968, ქვა), მარუხის მემორიალური კომპლექსის ბარელიეფი (1971, საქართვ. კომკავშირის პრემია), წიგნის გრაფიკა: „ქართული ხალხური ზღაპრები – ასი ზღაპარი" (1971), „ქართული ხალხური პოეზია" (1974); დაზგური გრაფიკა: საქართველოს პეიზაჟების ციკლი. შეასრულა გრაფიკული ჩანახატები საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში მოგზაურობის დროს (1959–67). 1976 თბილისში მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა.